სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №:124/01-01, 03/05/2022 და N: 123/01-01, 03/05/2022 ბრძანებებით გამოცხადებული კონკურსის და 2022 წლის 24 ივნისის №49/2022 თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. თბილისი 14 ივლისი, 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორი ლ. საბაური (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი მ. თორია (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი მ. ხოხობაია (კომისიის წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №:124/01-01, 03/05/2022 და N: 123/01-01, 03/05/2022 ბრძანებებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში (*ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის* კათედრა - პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“; *მარკეტინგის* კათედრა - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“; *მაკროეკონომიკის* კათედრა (შრომის ეკონომიკის პროფილით) - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ“) გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე,
პროფესორი ლ. საბაური

მოისმინეს: 1.1 საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, **პროფესორ ლევან საბაურის** ინფორმაცია, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის №49/2022 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, კომისიის მდივნის **ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ურუტაძის** სხდომაზე ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოუცხადებლობის გამო (კოვიდინფიცირებული) და სხდომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა **ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია.**

1.2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **№:124/01-01, 03/05/2022 და N: 123/01-01, 03/05/2022 ბრძანებებით** გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში (*ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის* კათედრა - პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"; *მარკეტინგის* კათედრა - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"; *მაკროეკონომიკის* კათედრა **(შრომის ეკონომიკის პროფილით)** - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ") საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, **პროფესორ ლევან საბაურის** ინფორმაცია, გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარემ, **პროფესორმა ლევან საბაურმა** აღნიშნა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიებზე კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად, დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად. კომისიის წევრების მიერ შედეგების გაანალიზების საფუძველზე საჭიროა განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **№:124/01-01, 03/05/2022 და N: 123/01-01, 03/05/2022 ბრძანებებით** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში (*ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის* კათედრა - პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"; *მარკეტინგის* კათედრა - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"; *მაკროეკონომიკის* კათედრა **(შრომის ეკონომიკის პროფილით)** - ასოცირებული პროფესორი, 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ") გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა და კონკურსის შედეგების შეჯამება.

პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

- ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა
  პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"
- მარკეტინგის კათედრა
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"
- მაკროეკონომიკის (შრომის ეკონომიკის პროფილით) კათედრა
  ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ"

კომისიის თავმჯდომარემ, **პროფესორმა ლევან საბაურმა** კომისიის წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორი ლ. საბაური (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი მ. თორია (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი მ. ხოხობაია (კომისიის მდივანი).

კომისიამ იმსჯელა და შეაჯამა კონკურსანტების შეფასებები:

1.1. **კონკურსანტ ეკა დევიძის** მიენიჭა **ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი,** სადისერტაციო თემაა - **„კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები“** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3), რომელიც შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი - **აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

კონკურსანტ ეკა დევიძის პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსი **არ შეესაბამება** 2020 წლის 24 თებერვლის აკადემიური საბჭოს №16/2020 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ”).

კონკურსანტ ეკა დევიძის ციტირების ინდექსია: **Google Scholar-21.** კონკურსანტის ანკეტის (დანართი 3) **3.1 პუნქტის** მიხედვით, რაც ითვალისწინებს **პუბლიკაციებს იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ,** **კონკურსანტ ეკა დევიძეს** წარმოდგენილი აქვს ექვსი სამეცნიერო ნაშრომი. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებიდან **არცერთი არ არის გამოქვეყნებული იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.**

მის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფცია არის ზოგადი, არ არის ჩამოყალიბებული სამეცნიერო კვლევის მიზანი, დაგეგმილი კვლევითი აქტივობები და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები. კონცეფცია ფოკუსირებულია პროგრამების შემუშავებაზე და არა სამეცნიერო კვლევაზე.

1.2. **კონკურსანტ ნანა კაციტაძეს** მიენიჭა **ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი **და დაცული** დისერტაციის თემა -**„ნატურალური ტყავის მახასიათებლების შეფასების თანამედროვე მეთოდები“** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3) სწავლის სფეროების კლასიფიკატორში შეესაბამება ინჟინერიის ფართო სფეროს, დეტალური სფერო - 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) და მასში კლასიფიცირებული სფერო - 0723.1.2 ტყავის ტექნოლოგია, რაც არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

კონკურსანტ ნანა კაციტაძის პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია პროფილთან. წარმოდგენილი სასწავლო კურსები და სილაბუსები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კონკურსანტ ნანა კაციტაძის ციტირების ინდექსია: **Scopus-0, H ინდექსი -0;Web of Science-3, H ინდექსი - 1; Google Scholar-20, H ინდექსი - 3.**

კონკურსანტის ანკეტის (დანართი 3) **3.1 პუნქტის** მიხედვით, რაც ითვალისწინებს **პუბლიკაციებს იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ,** **კონკურსანტმა** წარმოადგინა ცხრა სამეცნიერო ნაშრომი. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებიდან **არცერთი არ არის გამოქვეყნებული იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.**

კონკურსანტ ნანა კაციტაძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფცია არის ზოგადი, არ არის ჩამოყალიბებული დაგეგმილი კვლევითი აქტივობები და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

1.3. **კონკურსანტ იოსებ ხელაშვილს** მიენიჭა **გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი,** სპეციალობით 11.00.02 - ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, სადისერტაციო თემაა - **„რეკრეაციული რესურსების შეფასების პრინციპები და მეთოდები**

უცხოური ტურიზმისათვის (საქართველოს სსრ მაგალითზე)" (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

კონკურსანტ **იოსებ ხელაშვილის** ციტირების ინდექსია: **Scopus-26, H ინდექსი -1; Web of Science-21, H ინდექსი -1; Google Scholar-68, H ინდექსი-3.**

კონკურსანტის ანკეტის (დანართი 3) **3.1 პუნქტის** მიხედვით, რაც ითვალისწინებს **პუბლიკაციებს იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ,** კონკურსანტმა **იოსებ ხელაშვილმა** წარმოადგინა ერთი სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი **გამოქვეყნებულია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში.**

კონკურსანტ **იოსებ ხელაშვილის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სამეცნიერო კვლევის მიზანი, მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი მიმართულებები და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

1.4. კონკურსანტ **მაია სეთურს** მიენიჭა **ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი,** სადისერტაციო თემაა - **„რეკლამა და მისი როლი კომერციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში"** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

კონკურსანტ მაია სეთურის ციტირების ინდექსია: Scopus-0, H ინდექსი-0; Web of Science-2, H ინდექსი-1; Google Scholar-69, H ინდექსი-4.

კონკურსანტ მაია სეთურის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საკვლევის პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

1.5. კონკურსანტ **მზია შელიას** მიენიჭა **ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი, სადისერტაციო თემაა - **„საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და მისი სოციალურ - ეკონომიკური შედეგები"** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3) და სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მზია შელიას ციტირების ინდექსია: Scopus-0, H ინდექსი-0; Web of Science-5, H ინდექსი-1; Google Scholar-71, H ინდექსი-5.

კონკურსანტ მზია შელიას მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საკვლევი თემის აქტუალობა, სამეცნიერო კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

კონკურსის მეორე ეტაპზე თითოეული პრეტენდენტი შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ლოგიკური აზროვნების უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით და მათ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფციის განხილვით.

1.1. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ეკა დევიძემ** მკაფიოდ ვერ წარმოადგინა სამეცნიერო კვლევის კონცეფციის საკუთარი ხედვა, ვერ დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის მიზანი, კვლევის თემატური მიმართულებები.

1.2. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ნანა კაციტაძემ** ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. ვერ ჩამოაყალიბა სამეცნიერო კვლევის კონცეფციის საკუთარი ხედვა, ვერ დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის მიზანი, ამოცანა და მისაღწევი შედეგი, ასევე ვერ წარმოადგინა შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია.

1.3. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **იოსებ ხელაშვილმა** მკაფიოდ და გასაგებად ჩამოაყალიბა სამეცნიერო კვლევის კონცეფციის საკუთარი ხედვა, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის მოსალოდნელი შედეგები. კონკურსანტმა დაასაბუთა სამეცნიერო სტატიის კვლევის ამოცანები, შედეგები და განხორციელების გზები.

1.4. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **მაია სეთურმა** მკაფიოდ და გასაგებად ჩამოაყალიბა სამეცნიერო კვლევის კონცეფციის საკუთარი ხედვა, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები.

1.5. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **მზია შელიამ** მკაფიოდ და გასაგებად ჩამოაყალიბა სამეცნიერო კვლევის კონცეფციის საკუთარი ხედვა, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები.

ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის წევრებმა კონკურსის პირველ ეტაპზე იხელმძღვანელეს შემდეგი კრიტერიუმებით: პრეტენდენტის კვალიფიკაციისა და პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისობა პედაგოგიურ და სასწავლო-მეთოდურ საქმიანობასთან, სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმებისა და შინაარსის შესაბამისობა თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურობა, მათ შორის პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ციტირების ინდექსები, პრეტენდენტების საერთაშორისო აღიარება, პრეტენდენტების წვლილი თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობაში, პრეტენდენტების წვლილი თსუ-ის წინსვლასა და განვითარებაში და სხვა.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციის თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი 5). ბიულეტენში აისახა შესაბამისი კათედრების მიხედვით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტთა სახელი და გვარი. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. კომისიის წევრების მიერ დაილუქა საარჩევნო ყუთი და ლუქი დამოწმდა საკონკურსო კომისიის წევრების ხელმოწერებით.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დალუქული საარჩევნო ყუთი გაიხსნა და კომისიის წევრებმა დათვალეს პრეტენდენტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

1. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა
   პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“
   ეკა დევიძე - მიღებული ხმების რაოდენობა 0.
   ნანა კაციტაძე - მიღებული ხმების რაოდენობა 0.
   იოსებ ხელაშვილი - მიღებული ხმების რაოდენობა 4.
2. მარკეტინგის კათედრა
   ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“
   მაია სეთური - მიღებული ხმების რაოდენობა 4.
3. მაკროეკონომიკის კათედრა (შრომის ეკონომიკის პროფილით)
   ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ“
   მზია შელია - მიღებული ხმების რაოდენობა 4.

კომისიამ გაანალიზა კენჭისყრის შედეგები და მართებულად ჩათვალა მიღებული გადაწყვეტილებები: პრეტენდენტ **იოსებ ხელაშვილს** აქვს მაღალი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა, მათ შორის პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, მაღალი ციტირების ინდექსები, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ვიდრე პრეტენდენტებს: **ეკა დევიძეს და ნანა კაციტაძეს.**

პრეტენდენტ **მაია სეთურს** აქვს გამოცხადებულ ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება.

პრეტენდენტ **მზია შელიას** აქვს გამოცხადებულ ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება.

დაადგინეს: 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების (,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად და დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედ რეგულაციასთან შესაბამისობაში;

1.2. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების (,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

1.3. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების (,,სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი #310.

კომისიის თავმჯდომარე /პროფესორი ლ. საბაური/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოც. პროფესორი მ.ლობჟანიძე/

კომისიის წევრები: /ასოც. პროფესორი მ. თორია/

კომისიის მდივანი /ასოც. პროფესორი მ.ხოხობაია /